საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2020 წლის 31 დეკემბრის №12981 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს "იმგე"-ს მიერ (წყალში ხსნადი საღებავების საწარმო, მდებარე ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევი N2ა, ს/კ: 05.32.08.913) ქიმიური ნივთიერება FILM AJAN:TEXSANOL-ი ტექნოლოგიურ პროცესში იხსნება აკრილიკის გამხსნელთან ერთად წყალში, რომელიც არ წარმოადგენს ტოქსიკურ ნივთიერებას (სერთიფიკატი თან ერთვის), ასევე გაცნობებთ რომ ჩვენს საამქროში ტექნოლოგიური რეგლამენტის თანახმად არომატული გამხსნელების გამოყენება არაა დაგეგმილი.

დამატებითად გაცნობებთ, რომ საწარმოში საღებავების დამზადება მოხდება დახურულ სივრცეში. ტექნოლოგია არ ითვალისწინებს ქიმიურ პროცესებს. აქ იწარმოებს ნედლეულის აწონვა-დოზირება და შერევა სპეციალურ მიქსერში, რომელშიც წინასწარ ასხამენ საჭირო რაოდენობის წყალს და შემდეგ ყრიან წყალში ხსნადი საღებავის საწარმოებლად საჭირო იგრედიენტებს. საღებავის კომპონენტების წყალში მორევის შემდეგ მას ასხამენ ჭურჭელში და ეტიკეტირების შემდეგ მზად არის სარეალიზაციოდ.

ასევე გიგზავნით საღებავების საწარმოებლად საჭირო კომპონენტების ინგლისურ და ქართულ სახელწოდებებს, რომლებიც შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

პატივისცემით

დირექტორი

აიდინ დელირმენჯი: _____

22.01.2021 წელი.